



გზამკვლევი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
სტუდენტებისთვის!

გზამკვლევი მიზნად ისახავს EEU-ს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და იმ შესაძლებლობებსა თუ გამოწვევებზე, რომლებსაც სთავაზობს თავის სტუდენტებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

სარჩევი

1. EEU-ს შესახებ.....	3
1.1. მისია.....	3
1.2. ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები.....	4
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები.....	4
3. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის ხანგრძლივობა.....	7
3.1. შიდა მობილობა.....	7
3.2. კრედიტის მოპოვება/სტუდენტის დატვირთვა.....	8
3.3. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა.....	8
4. სასწავლო პროცესის ვადები და სემესტრები.....	9
5. სწავლის საფასური და სემესტრული რეგისტრაცია.....	9
5.1. სწავლის საფასური.....	9
5.2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	9
5.2.1. სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის სისტემა.....	11
5.3. აკადემიური რეგისტრაცია.....	11
6. სტუდენტის სტატუსი.....	12
6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება.....	12
6.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა.....	12
6.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.....	13
7. სტუდენტის ელექტრონული სასწავლო ბაზა - EEU-EL.....	14
8. სტუდენტებისთვის ცნობების გაცემის პროცედურა.....	16
9. სტუდენტის შეფასება.....	18
10. გამოცდები.....	20
გამოცდის განრიგი.....	20
საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება.....	23
გამოცდაზე ქცევის წესები	23
11. სტუდენტური ცხოვრება და სერვისები.....	24
11.1. სტუდენტური თვითმმართველობა.....	24
11.2. სტუდენტთა ინტეგრირების ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სივრცეში.....	25
11.3. პროექტები, საჯარო ლექციები/შეხვედრები, სემინარები, ღონისძიებები.....	25
11.3.1. პროექტის ინიცირება და დაფინანსებ.....	26
11.4. სპორტი.....	27
11.5. კარიერული განვითარების სერვისები: დასაქმება, სტაჟირება, ვაკანსიები, ტრენინგ-კურსები.....	27
11.6. დაფინანსება.....	29
11.6.1. საუნივერსიტეტო დაფინანსება.....	29
11.6.2. დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობები.....	29
11.7. სტუდენტური დაზღვევა.....	30
11.8. სტუდენტური კონფერენციები.....	31
11.9. გაცვლითი პროგრამები.....	32
11.10. ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი	32
11.11. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მიმართული სერვისი.....	33
11.12 Covid 19	34
11.13 სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი	34
12. ბიბლიოთეკა.....	34
13. EEU-CAFE.....	35
დანართი 1- ტერმინების განმარტება.....	36

1. EEU-ს შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) არის კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაარსდა და მიიღო ავტორიზაცია 2012 წელს. 2015 წელს უნივერსიტეტმა ხელმეორედ გაიარა ავტორიზაცია სადოქტორო საფეხურის დამატების მიზნით და მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი. ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადებისა და ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ინჟინერიის და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტებზე.

EEU წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვასა და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის შექმნას საქართველოში.

EEU მდებარეობს თბილისში (საქართველო) და სწავლებას ახორციელებს ორ კამპუსში:

კამპუსი 1. შატილის ქ. №4 ;

კამპუსი 2: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი.

დევიზი: მიიღე ცოდნა, რომელსაც რეალურად გამოიყენებ!

ვებგვერდი: <https://eeu.edu.ge/>

ელ-ფოსტა: info@eeu.edu.ge



<https://www.facebook.com/EEUUniversity>

ტელეფონი: (032) 2 48 01 41

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია არის:

- სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარების და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.
- საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.



ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები

486 აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი

19 საგანმანათლებლო პროგრამა
(მათ შორის - 6 საბაკალავრო და 9 სამაგისტრო, 2 სადოქტორო და 1 ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო, 1 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

3 ფაკულტეტი
(იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესი და ინჟინერია, ჯანდაცვის მეცნიერებათა)

1200-მდე სტუდენტი

150-ზე მეტი პარტნიორი ორგანიზაცია კერძო და საჯარო სექტორებში

500-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია/სემინარები, საჯარო ლექციები და სტუდენტური ღონისძიებები

70,5% - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი,
მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული - 49%

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

EEU სტუდენტს აქვს უფლება:

- ▶ მიიღოს უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ხარისხიანი განათლება;
- ▶ მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ▶ მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
- ▶ თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
- ▶ ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით;
- ▶ დააფუძნოს ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/კლუბებში საკუთარი ინტერესების შესაბამისად;
- ▶ მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- ▶ პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პროგრამები, სასწავლო პროცესი, აკადემიური პერსონალი და სასწავლო კურსები, ასევე უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისი;
- ▶ ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები;
- ▶ მიმართოს სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებზე მომსახურების მისაღებად;
- ▶ აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.
- ▶ მონაწილეობა მიიღოს აკრედიტაცია/ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფების მუშაობასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;
- ▶ ისარგებლოს მობილობის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად;
- ▶ დაწეროს საჩივარი/განცხადება აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ▶ მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის გაცნობა/აპელაცია და პედაგოგის მხრიდან უკუკავშირი, ასევე ნაშრომის სააპელაციო კომისიისათვის გადაცემა „გამოცდების ჩატარების წესით“ დადგენილი პროცედურების დაცვით;

- ▶ საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;
- ▶ განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

EEU სტუდენტი ვალდებულია:

- ▶ მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და ასევე, შიდა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.
- ▶ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და წესით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია;
- ▶ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლა სავალდებულოა.
- ▶ უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისთვის მიყენებული ზიანის გამო სტუდენტს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ▶ სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ გაწეული სემესტრული მომსახურის მიხედვით;
- ▶ არ დააზიანოს უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული პროგრამები;
- ▶ არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე/პლაგიატი;
- ▶ აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.
- ▶ წარუდგინოს უნივერსიტეტს უტყუარი ინფორმაცია, პირადი და საკონტაქტო მონაცემები, ასევე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და მათი ცვლილების შემთხვევაში აცნობოს უნივერსიტეტს/განაახლოს პირადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- ▶ უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
- ▶ დაიცვას უნივერსიტეტის „ქცევის (ეთიკის) კოდექსით“, „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“, წინამდებარე

წესით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები/წესები და ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

EEU სტუდენტის ქცევის ზოგადი სტანდარტები:

- ▶ სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, კომპეტენციისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში/კვლევებში; ზედმიწევნით დაიცვას საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმებების პირობები.
- ▶ სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტის პერსონალს; დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები; დაემორჩილოს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს;
- ▶ გაუფრთხილდეს და დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და რეპუტაცია, პატივი სცეს სხვა სტუდენტებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს; მოეპყროს მათ კეთილსინდისიერად და სამართლიანად; გამოიჩინოს კეთილგანწყობა, თანაგრძნობა და კოოპერაცია;
- ▶ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენისგან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.

▼ სტუდენტი ვალდებულია:

- ▶ სწავლების ან/და კვლევის პროცესში იყოს სათანადოდ მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული; დაესწროს ლექციებს/სემინარებს; არ დააგვიანოს მათზე;
- ▶ დროულად გამოცხადდეს გამოცდებზე, დაიცვას გამოცდისთვის უნივერსიტეტში დადგენილი წესები; არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს გამოცდები;
- ▶ ხელი არ შეუშალოს სასწავლო ან/და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას უნივერსიტეტში;
- ▶ საკუთარი აზრი დააფიქსიროს კორექტულად და დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. ამასთანავე, მოუსმინოს სხვა სტუდენტების/უნივერსიტეტის პერსონალის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების აზრს და პატივი სცეს სხვების აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას;


- ▶ არ მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური თუ სხვა სახის შეურაცხყოფა სხვა სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს; თავი შეიკავოს სხვა სტუდენტების/ უნივერსიტეტის პერსონალის/ სხვა პირების თანდასწრებით სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა პირის გაკიცხვისგან;
- ▶ პირადი სარგებელის სანაცვლოდ, ანგარების მიზნით არ შესთავაზოს საჩუქარი ან თანხა ან სხვა სახის სარგებელი უნივერსიტეტის სხვა სტუდენტსა და პერსონალს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე).
- ▶ არ გაამჟღავნოს მისთვის ცნობილი პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის შესახებ და დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;
- ▶ უნივერსიტეტის მართვის ორგანოების თანხმობის გარეშე თავი შეიკავოს პირადი ან ჯგუფური მიზნებისთვის უნივერსიტეტის დასახელების, ლოგოს ან სხვა ატრიბუტიკის გამოყენებისგან უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ;
- ▶ არ გააყალბოს საუნივერსიტეტო მონაცემები;
- ▶ გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას. ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები;
- ▶ არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ინტერნეტის რესურსები არადანიშნულებით;

EEU სტუდენტისთვის არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- ▶ გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული და აკრძალულია უნივერსიტეტის მიერ;
- ▶ სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
- ▶ გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და მისი გავრცელება;
- ▶ სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენა;
- ▶ პირადი მონაცემებისა და მიღებული შეფასებების გაყალბება;
- ▶ სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- ▶ ხელის შეშლა სხვა სტუდენტისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

- ▶ სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;
- ▶ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;
- ▶ შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;
- ▶ ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა.

3. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის ხანგრძლივობა



მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 2 სემესტრი (ერთი წელი) რომლის განმავლობაშიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 60 კრედიტისა;

3.1. შიდა მობილობა

უნივერსიტეტის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის საფეხურის ფარგლებში;

შიდა მობილობაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ;

შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, პროცედურა და ვადები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://eeu.ed.u.ge/სწავლა/მიღე_ბა/მობილო

3.2. კრედიტის მოპოვება/სტუდენტის დატვირთვა

- ✓ უნივერსიტეტში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში;
- ✓ სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია, სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.
- ✓ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
- ✓ სტუდენტებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვებენ შესაბამის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვთ დაასრულონ სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატსა და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მომდევნო რვა სემესტრის მანძილზე ბაკალავრიატში, ოთხი სემესტრის მანძილზე - ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ექვსი სემესტრის მანძილზე - მაგისტრატურაში;
- ✓ დამატებით სემესტრში დარეგისტრირების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა დაწეროს კანცელარიაში სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში;

3.3. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა



- ▶ სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია
- ▶ სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით;

- ▶ დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი თვის ვადაში, თუ დასტურდება რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება;
- ▶ საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულს, რომლის GPA არის არანაკლებ 3.5-ისა გადაეცემა დიპლომი - წარჩინებით.



კურსდამთავრებულმა დიპლომისა და დიპლომის დანართის მისაღებად უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურის მენეჯერს (ოთახი 19, ტელეფონი: 032 2 48 01 41)

4. სასწავლო პროცესის ვადები და სემესტრები



ყოველი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის ვადები (ინფორმაცია ყოველსემესტრულ რეგისტრაციაზე, სალექციო და საგამოცდო პერიოდზე, არდადეგებზე) ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://eeu.edu.ge/e/სწავლა/აკადემიური-კალენდარი/>

► სასწავლო წელი იყოფა სემესტრებად

- თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 19 კვირა, რომელიც მოიცავს სააუდიტორიო მეცადინეობებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს;
- შუალედური გამოცდები ინიშნება მე-8 და მე-9 კვირებში;
- საგამოცდო სესიები იწყება სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში ძირითადი გამოცდები, 2 კვირის განმავლობაში – დამატებითი გამოცდები;
- პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, შესაძლოა რექტორის ბრძანებით განისაზღვროს ზამთრისა და ზაფხულის სემესტრების ვადები;

5. სწავლის საფასური და სემესტრული რეგისტრაცია

5.1. სწავლის ყოველწლიური საფასური

- ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე - 2250 ლარი;
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) - 5500 ლარი;
- დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5000 დოლარის ეკვივალენტი ლარში;
- ციფრული მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი) - 5000 დოლარის ეკვივალენტი ლარში;
- სამაგისტრო პროგრამებზე - 2500 ლარი;

დამატებითი სემესტრის სტუდენტი სწავლის საფასურის გადახდას ახორციელებს კრედიტების შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით.

5.2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდას;

- ▶ სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტმა ყოველ სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დადგენილ ვადაში (იხ. ბმულზე : <http://eeu.ed u.ge/სწავლა/აკადე მიური -კალენდარ ი/>) უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია;
- ▶ სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია TBC, VTB ან „პროკრედიტ ბანკის“. „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, ასევე ფეიბოქსის აპარატებიდან (NOVA, TBC PAY); გადახდის დროს სწორად უნდა მიეთითოს სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხდება გადახდის იდენტიფიცირება;
- ▶ სტუდენტი, რომელიც სარგებლობს ნაწილობრივი სასწავლო/სოციალური გრანტით, სწავლის საფასურის დარჩენილ ნაწილს იხდის რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში;
- ▶ თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უფლება აქვს მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორის სახელზე უნდა დაწეროს განცხადება კანცელარიაში.



ს/კ 400028849 ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღები: შპს აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი
ანგარიშის ნომერი: GE39TB799993602010002

U



ს/კ 400028849 ბანკის კოდი: UGEBGE22
მიმღები: შპს აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი
ანგარიშის ნომერი: GE19VT6600000088263608



ს/კ: 400028849 ბანკის კოდი: BAGAGE22;
მიმღები: შპს აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი
ანგარიშის ნომერი: GE59BG0000000697402200

5.2.1. სწავლის საფასურის გადახდის ეტაპობრივი სისტემა:

სტუდენტმა, რომელიც დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის სემესტრულ საფასურს, შესაძლებელია, უნივერსიტეტთან შეთანხმების საფუძველზე სწავლის საფასური დაფაროს ეტაპობრივად;

ეტაპობრივი გადახდის შემთხვევაში სტუდენტმა ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს, გაიაროს კონსულტაცია და გააფორმოს შეთანხმება;

ინფორმაცია სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის შესახებ:

ფინანსური ინფორმაციის (სწავლის სემესტრული საფასური, გრანტის ოდენობა, გადასახდელი თანხის ოდენობა, გადახდის გრაფიკი) ნახვა სტუდენტს შეუძლია პირად სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში – EEU-EL, მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) ღილაკის ფინანსები

The screenshot displays the 'ფინანსური მონაცემები' (Financial Data) section of the EEU-EL system. It features a navigation bar at the top with various menu items. Below the header, there are two main tables. The first table, titled 'გადასახდები' (To be paid), lists payment details for four semesters (2019-20, 2020-21) with columns for semester, type of payment, amount, and status. The second table, titled 'გადასხდები' (Paid), shows a single payment record for the 2021-22 semester with columns for receipt number, amount, date, and status.

5.3. აკადემიური რეგისტრაცია

- ▶ სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტმა ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ, დადგენილ ვადაში უნდა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
- ▶ აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს მიმდინარე სემესტრში შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე (საგნებზე) დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემაში (EEU-EL) სტუდენტის ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ;



სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური სერვისების მენეჯერი, ოთახი 19, ტელ.: 032 2 48 01 41

6. სტუდენტის სტატუსი

6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- ▶ სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით, გათავისუფლებას.
- ▶ სტატუსის შეჩერების განმავლობაში ასევე შეჩერებულია უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.



სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ▶ პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ▶ ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელია;
 - ▶ უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისა);
 - ▶ ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - ▶ მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
- სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება და მას გამოიყენებს იმ სემესტრში, რომელშიც აღიდგენს სტუდენტის სტატუსს, გარდა ჯანმრთელობის გაუარესების მძიმე შემთხვევებისა, რომლის შედეგად სტუდენტი ვერ შეძლებს უნივერსიტეტის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღებას.
 - სწავლის დაწყებიდან 4 (ოთხი) კვირის გასვლის შემდეგ, ნებისმიერი საფუძველით სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას ან მომდევნო სემესტრებში გამოყენებას.

6.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- ▶ სტუდენტმა უფლებამოსილია, პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი (გარდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელია გამო სტატუსის შეჩერებისა, რადგან ფინანსური დავალიანების დაფარვის

შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადებით მომართვის გარეშე დადგენილ ვადაში;

- ▶ სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში;

6.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ▶ პირადი განცხადება;
- ▶ სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადაში სტატუსის აღუდგენლობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ▶ დაწესებულებისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ▶ ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური/ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით;
- ▶ სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე – აკადემიური ჩამორჩენა;
- ▶ ერთი და იმავე სასწავლო კურსში სამჯერ უარყოფითი საბოლოო შეფასების მიღება (ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტისთვის პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);“
- ▶ მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- ▶ გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;
- ▶ „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“, „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით“ გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.

სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მობილობის პროცესში (გარდა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და/ან მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა);

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.



სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების მენეჯერი, ოთახი 19, ტელ.: 032 2 48 01 41 (106)

7. სტუდენტის სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა - EEU-EL

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - EEU-EL შექმნილია სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და სტუდენტთა ინფორმირების ხელშეწყობის მიზნით.


EEU-EL აერთიანებს შემდეგ სერვისებს:

- ▶ **საინფორმაციო დაფა** - გზამკვლევები, სიახლეები, ანონსები, ტრენინგები/კონფერენციები;
- ▶ **სემესტრული ანგარიშები** - მოიცავს სტატისტიკურ მონაცემების დიაგრამების სახით გამოსახვას. მაგალითად, შესრულებული კრედიტები, სემესტრული GPA, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და ა.შ.
- ▶ **ანკეტური მონაცემები** - სტუდენტების პირადი საქმეები ელექტრონულად, ბრძანებები, საკონტაქტო ინფორმაცია, განათლება/აქტივობები, CV-ის ბეჭდვა და ა.შ.
- ▶ **აკადემიური რეგისტრაციის გავლა** - სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტის მიერ;
- ▶ **შეფასებები** - საგნების მიხედვით შეფასების კომპონენტები, შეფასების ჟურნალი, მიღებული შეფასებების აპელაცია/ნაშრომის ნახვა, საბეჭდი ფორმები - ნიშნების ფურცელი
- ▶ **ცხრილი** - სასწავლო და საგამოცდო ცხრილი, კალენდარი (ღონისძიებები)
- ▶ **სასწავლო პროგრამა** - სილაბუსები, სასწავლო გეგმა (სტუდენტს შეუძლია ნახოს ინდივიდუალური გეგმა შესრულებული/შეუსრულებელი კურსების შესახებ და ა.შ.)
- ▶ **საფინანსო სერვისი** - გრანტები, ტრანზაქციები, სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის დისტანციურად გაფორმება და ა.შ)
- ▶ **გამოკითხვები** - გამოკითხვის კითხვარების ელექტრონულად შევსება
- ▶ **ბიბლიოთეკის სერვისი** - ელექტრონული სასწავლო მასალების ბაზაში ატვირთვა და წიგნების გამოწერა;
- ▶ **საკომუნიკაციო სერვისი ელექტრონულად** (სხვადასხვა სახის პირადი შეტყობინებების, დოკუმენტების მიღება და გაგზავნა)

ასევე, პაროლის შეცვლის, პროფილის გადართვის და სხვა ფუნქციები.

ნაბიჯი 1: EEU-EL-ის მისამართზე გადასვლა:

<https://stud.eeu-el.ge/login>




ნაბიჯი 2: ავტორიზაციის გავლა:

- ა) პირველ ველში შეიყვანეთ თქვენი მომხმარებელი, გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
- ბ) მეორე ველში შეიყვანეთ ერთჯერადი პაროლი, გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
- გ) მესამე ველში შეიყვანეთ პაროლი, რომელიც გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
- დ) მონიშნეთ ლილაკი „შესვლა“

P.S. თუ თქვენ დაგავიწყდათ პაროლი შეგიძლიათ აღადგინოთ ლილაკის მონიშვნით „პაროლის აღდგენა“

ნაბიჯი 3: მთავარი გვერდი

მთავარ გვერდზე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ საინფორმაციო დაფა. საინფორმაციო დაფა მოიცავს სიახლეების, ანონსების, ტრენინგების/კონფერენციების, გზამკვლელების, სემესტრული ანგარიშების ველებს.



ნაბიჯი 4: EEU-EL-ში თქვენი პროფილის მართვა
 თქვენი პირადი ინფორმაციის შევსება/განახლება შესაძლებელია მთავარი მენიუდან „პროფილი“. აქ შეგიძლიათ განახლოთ თქვენი პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ საკონტაქტო ინფორმაცია სტუდენტის მიერ სწორად შეივსოს, რადგან უნივერსიტეტი ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აგზავნის შეტყობინებებს. სტუდენტის ანკეტის გვერდზე მოცემული პირადი ინფორმაციიდან: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღის ველები შევსებულია და მათი ცვლილება შეუძლებელია. შეგიძლიათ შეიყვანოთ ინფორმაცია თქვენი აქტივობების, ატვირთოთ დოკუმენტები, და დაბეჭდოთ თქვენი CV

#	თარიღი	თარიღი	თემა	სათარი	კლდეტილობა	შეკვეთები
1	17/01-14	2019-09-30	საპროექტო კონკურსი	საპროექტის მართვით დაკავშირებული დავალები 20-7 მუხლზე „კ“ შეჯამებითა და 27-0 მუხლზე მუხამ კანდიდატისა და „კლდეტილობის“ პროექტის შედეგებით 2019-2020	1. გამოიწვიე 2019-2020 სასწავლო წლის შემდგომი სემესტრისთვის კურსისთვის პროექტის შედეგებით გამოტარების სასამართლო პროცესთან დაკავშირებით კანდიდატის დაკლდეტილობის შესაბამისად. კანდიდატის და სემესტრის შედეგების დაკლდეტილობა 76,8	

ნაბიჯი 5: პაროლის შეცვლა

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული პაროლის შესაცვლელად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) მონიშნეთ სიმბოლო V და შემდეგ „პაროლის შეცვლა“. თუ თქვენ სწავლობდით EEU-ში სხვა საფეხურზე/პროგრამაზე შეგიძლიათ მონიშნოთ ღილაკი „პროფილის გადართვა“ და დაათვალიეროთ თქვენი დანარჩენი პროფილებიც. სისტემიდან გამოსასვლელად კი მონიშნოთ „გამოსვლა“

The dashboard displays three donut charts and a table of courses. The charts show credit and GPA trends for 2019-20 and 2020-21. The table lists courses with their titles, dates, and 'გაგრძელება' (Continue) buttons.

სამაგრი	თარიღი	გაგრძელება
"EEULab რამდანი"	2021-12-13	გაგრძელება
2020-2021 სასწავლო წლის სამხინძრო გრანდების კონკურსის მატარებელის დასალოცება	2021-04-12T13:43:00	გაგრძელება
სასტრუქტურული კონსულტაციების	2021-04-05T12:31:00	გაგრძელება
2020-2021 სასწავლო წლის სამხინძრო გრანდების კონკურსის მატარებელი	2021-04-02T16:02:00	გაგრძელება
მ.წ.მ. ბიზნესის მართვის კურსის კვლევის ინტეგრირებული საინტერაქტიული კონსულტაცია	2021-03-30T12:19:00	გაგრძელება

ნაბიჯი 6: სასწავლო ბარათი და შეფასებების ჟურნალი

შეფასებების სანახავად მთავრ მენიუში მონიშნეთ ღილაკი „სასწავლო ბარათი“. დეტალური ყოველკვირეული შეფასებების სანახავად კი საგნის გასწვრივ მონიშნეთ ჟურნალის სიმბოლო.

The course card shows a GPA of 2.2 and 90 credits. The grade journal table lists courses with their titles, grades, and GPA values.

სამაგრი	საგანი	საგნის სახელი	კრედიტი	სტატუსი	ქული	შეფასება	GPA
სასწავლო წელი/სემესტრი: 2019-20/1-მეორედი - 5 items							
	მსხვერპლი	მისთვის	6	1	74	C	2
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	1	67	D	1
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	1	53	E	0.5
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	1	66	D	1
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	1	51	E	0.5
სასწავლო წელი/სემესტრი: 2019-20/2-მესამედი - 5 items							
	მსხვერპლი	მისთვის	6	2	87	B	3
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	2	70	D	1
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	2	95	A	4
	მსხვერპლი	საგნის სახელი	6	2	84	B	3

დეტალური შეფასება: განათლების ეპრონოზა

გამოდები ღვეცია სამუშაო უკუფი

	II	III	IV	V	VI	VII	XI	XII	XIII	XIV	XV
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა
მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა	მათემატიკა
ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი	ბათონი
37	3	2	3	3	3	3	3	3	3	3	8

ნაბიჯი 7: საგნებზე რეგისტრაცია, სასწავლო მასალა და სილაბუსი

კურსის სასწავლო მასალის ან სილაბუსის სანახავად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) შეარჩიეთ ღილაკი „საგნების არჩევა“, შემდეგ მონიშნეთ ღილაკი „არჩეული სასწავლო კურსები“ და შესაბამისად საგნის გასწვრივ ჩამოტვირთეთ თქვენთვის სასრუველი კურსის სილაბუსი და სასწავლო მასალა.

ამავე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ მარჯვენა მენიუდან შეარჩიოთ „ასარჩევი სასწავლო კურსები“ გაეცნოთ მიმდინარე სემესტრში ასარჩევად გააქტიურებულ სასწავლო კურსებს, გაეცნოთ კურსის დეტალებს და შემდეგ აარჩიოთ თქვენთვის სასურველი კურსი ან აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში გააუქმოთ კურსზე რეგისტრაცია.

საგნების არჩევა

#	სასწავლო კურსი	კომპონენტი	სრულა	კრიტიკა	სასწავლო მასალა
1	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განხილვა	1. პრაქტიკული მუშაობა		30	

ნაბიჯი 8: ცხრილი

სასწავლო ცხრილის (ლექცია-სემინარების დღე/დაწყება-დასრულების საათი/აუდიტორია) სანახავად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) მონიშნეთ ღილაკი „ცხრილი“. ამავე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ MS Teams-ში ლექციაზე/სემინარზე დასწრების ბმული, საგამოცდო ცხრილი, დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი

სასწავლო ცხრილი

2021-18-04

Sunday	Monday	Tuesday	Wednesday	Thursday	Friday	Saturday
28	29	30	31	Apr 1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	May 1

19:00 პროექტის პრეზენტაცია

19:00 მუშაობა თანამშრომლებთან

21:00 პირველი სადოქტორო სესიონი

20:00 მუშაობა თანამშრომლებთან

მუშაობა თანამშრომლებთან

პრაქტიკული მიდევობები

1 კორუსი

20 April 2021

19:00 - 20:00

ნაბიჯი 6: კორესპონდენცია

კორესპონდენციიდან თქვენ შეგიძლიათ გააგზავნოთ შეტყობინებები ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან. გაცეთ პასუხი მიღებულ წერილებს და ა.შ.

გაგზავნის თარიღი	საგვარამო	სტატუსი	მიმღები	თემა	სამსახური	შეგზავნილი	სასაუბრო კოდი	თარიღი/დრო
<input type="checkbox"/>	მა კავშირებით	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება	პროფესორი	ჩვეულებრივი	დაგეგმილი კითხვა	ჩვეულებრივი		2020-06-16 11:33
<input type="checkbox"/>	სიხარული	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი	პროფესორი	ჩვეულებრივი		2020-04-07 15:20
<input type="checkbox"/>	სიხარული	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-04-07 15:20
<input type="checkbox"/>	გაგზავნის თარიღი	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-03-23 04:15
<input type="checkbox"/>	გაგზავნის თარიღი	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-03-23 04:15
<input type="checkbox"/>	გაგზავნის თარიღი	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-03-21 16:19
<input type="checkbox"/>	გაგზავნის თარიღი	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-03-21 16:19
<input type="checkbox"/>	გაგზავნის თარიღი	ინფორმაცია და ინფორმაციის დაკავშირება		ჩვეულებრივი		ჩვეულებრივი		2020-03-17 17:31

დეტალური ინსტრუქცია სხვა სერვისების (საფინანსო, საგამოცდო, შეფასებები და ა.შ.) შესახებ წარმოდგენილია გზამკვლევის სხვადასხვა შესაბამის თავში.



EEU-EL-თან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემის ან დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების მენეჯერს, ოთახი 19, ტელ.: 032 2 48 01 41

8. სტუდენტისთვის ცნობის გაცემის პროცედურა

სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს ცნობა:

- ▶ სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ▶ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (ფორმა 26);
- ▶ აკადემიური, გავლილი სასწავლო კურსების, მიღებული შეფასებებისა და მოპოვებული კრედიტების შესახებ;
- ▶ კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
- ▶ ინვოისი;
- ▶ საგამოცდო განრიგი;

სტუდენტმა პირადი სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემიდან - EEU-EL უნდა გამოაგზავნოს მოთხოვნა ცნობის დამზადების შესახებ, კატეგორიის მითითებით; იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს მოკლე დროში ცნობის მიღება, უნდა მიუთითოს სტატუსი „მაღალი მნიშვნელობის“

ადმინისტრაციისთვის შეტყობინების გასაგზავნად, ნებისმიერი ტიპის ცნობის დამზადებაზე განცხადების დასაწერად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) შეარჩიეთ ღილაკი „კორესპონდენცია“, შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „ახალი შეტყობინების შექმნა“ და გამოსულ ფანჯარაში შეავსეთ შესაბამისი ველები; სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ წერილს დანართად მიამაგროთ შესაბამისი დოკუმენტები ღილაკის მონიშვნით „ფაილის არჩევა“ და შემდეგ ღილაკი „ატვირთვა“

შეტყობინების შექმნა

შეტყობინების ტიპი

მნიშვნ. დონა

სათაური

შინაარსი:

დოკუმენტები:

ფაილის არჩევა ატვირთვა

გაგზავნა დახურვა

თარიღი/დრო

2020-06-16 11:33
2020-04-07 15:20
2020-04-07 15:20
2020-03-23 04:15
2020-03-23 04:15
2020-03-21 16:19
2020-03-21 16:19
2020-03-17

მოთხოვნის გამოგზავნიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში სტუდენტი პირად გვერდზე მიიღებს შეტყობინებას ცნობის დამზადების შესახებ;

შეტყობინების მიღების შემდეგ, ცნობის მისაღებად სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს. ელექტრონულად ცნობის მიღებისთვის კი საჭიროა წერილის შინაარსში მიუთითოთ თქვენი ელ-ფოსტა, სადაც გამოგეგზავნებათ ცნობა ელექტრონული სახით.




სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და სტუდენტური
სერვისები, ოთახი 19, ტელ.: 032 2 4801

9. სტუდენტის შეფასება

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასებებისა (შუალედური გამოცდა/გამოცდები, პროექტი, პრეზენტაცია, ქვიზი, რეფერატი და ა.შ.) და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულების რაოდენობა დგინდება შესაბამისი სასწავლო კურსის/საგნის სილაბუსით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის 40 ქულაზე მეტითა და 30 ქულაზე ნაკლებით შეფასება.



დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა


- მიმდინარე შუალედური შეფასებების 70 ქულის შემთხვევაში არანაკლებ 26 ქულის მიღება
- მიმდინარე შუალედური შეფასებების 60 ქულის შემთხვევაში - არანაკ

დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასება

- მაქსიმალური 30 ქულის შემთხვევაში - არანაკლებ 15 ქულა,
- მაქსიმალური 40 ქულის შემთხვევაში - არანაკლებ 20 ქულა;

დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/საგნის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მიმდინარე შეფასებების, გამოცდის შედეგების ნახვა სტუდენტს შეუძლია პირად ელექტრონულ სისტემაში - EEU-EL, „სასწავლო ბარათის” დეტალებში.



შეფასებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მიმართოთ შესაბამის ფაკულტეტს

10. გამოცდები



უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებული სისტემით; გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესებზე დეტალური ინსტრუქცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე იურიდიულ ცნობარში (<https://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი>) და საგამოცდო რვეულეში.

10.1 შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგი

შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების განრიგი ქვეყნდება უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (EEU-EL) „ცხრილში“. სტუდენტი ვალდებულია, გამოცდაზე გამოცხადდეს მის ინდივიდუალურ სასწავლო ბაზაში მითითებულ დროს;



- ▶ შუალედური გამოცდების განრიგი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში – EEU-EL-ში ქვეყნდება სწავლის დაწყებიდან 6 კვირის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე, არაუგვიანეს

კალენდარული დღით ადრე.

- ▶ გამოცდის აღდგენა/გადატანა არ ხდება, გარდა საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისა (ავადმყოფობა და სხვა გადაუდებელი აუცილებლობა);
- ▶ გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, წინასწარ დადგენილ ვადაში EEU-EL -ის მეშვეობით განცხადებით მიმართეთ, წერითი გამოცდის შემთხვევაში - საგამოცდო ცენტრს, ხოლო ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული ზეპირი გამოცდის შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანს და წარადგინეთ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი, რომელზეც მითითებული იქნება შესაბამისი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.
- ▶ საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დაინიშნება გამოცდების აღდგენის განრიგი და გამოქვეყნდება EEU-EL-ში თქვენს პირად გვერდზე

10.2. დასკვნით/დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება

- ▶ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური 70 ქულიდან დააგროვებთ არანაკლებ 26 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულიდან - არანაკლებ 21 ქულას (თუ საგნის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).
- ▶ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ასევე გექნებათ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) თქვენი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41 - 50 ქულას;
 - ბ) ვერ გადალახეთ დასკვნით გამოცდისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 50% და თქვენ მიერ შუალედურ შეფასებათა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს არანაკლებ 41 ქულას.

10.3. შუალედური და დასკვნითი საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

- ▶ გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში შესაძლებლობა გაქვთ, EEU-EL -ის პირადი გვერდიდან განცხადებით მიმართოთ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოთ წერითი ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.
- ▶ ნაშრომის გაცნობის შემდეგ, თუ არ დაეთანხმებით მიღებულ შეფასებას, შეგიძლიათ, მოითხოვოთ, ნაშრომი გადასინჯვის მიზნით გადაეცეს შესაბამისი სასწავლო კურსის პედაგოგს.
- ▶ პედაგოგი 2 სამუშაო დღის ვადაში საგამოცდო ცენტრს დაუბრუნებს აპელაციის დასკვნას, რომელშიც ასახული იქნება თქვენი შეფასების შეცვლის ან არშეცვლის

საფუძვლები;

- ▶ აპელაციის შედეგები მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში აისახება EEU-EL-ში;
- ▶ იმ შემთხვევაში, თუ კვლავ არ ეთანხმებით, აპელაციის შედეგს, უფლება გაქვთ, აპელაციის შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში EEU-EL-ის საშუალებით, დასაბუთებული განცხადებით მიმართოთ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს ნაშრომის გასწორება სააპელაციო კომისიის მიერ;
- ▶ მიმართვის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანი ქმნის შესაბამისი სასწავლო კურსის სააპელაციო კომისიას, რომელიც უფლებამოსილია, შეცვალოს თქვენი მიერ მიღებული შეფასება, რაც გეცნობებათ თქვენ და, ცვლილების შემთხვევაში, აისახება EEU-EL-ში.

10.4. გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესები

- ▶ გამოცდაზე უნდა გამოცხადდეთ მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცდის ჩატარების ადგილზე;
- ▶ გამოცდაზე დაშვება შესაძლებელია 15 წუთით დაგვიანების შემთხვევაში, თუმცა გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ არ მოგეცემათ დამატებითი დრო ნაშრომის დასასრულებლად.
- ▶ გამოცდის დაწყებიდან 15 წუთის გასვლის შემთხვევაში გამოცდაზე აღარ დაიშვებით და ჩაგეთვლება არგამოცხადებად.
- ▶ თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცდაზე არ დაიშვებით.
- ▶ გამოცდის დაწყებამდე გაიარეთ რეგისტრაცია, მიიღებთ სექტორისა და მაგიდის ნომერი და დარბაზში ადგილი დაიკავებთ რეგისტრაციის ნომრის მიხედვით. მაგიდის კუთხეში დადეთ პირადობის მოწმობა.
- ▶ გეკრძალებათ გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები ჩააბარეთ დამკვირვებელს.
- ▶ თქვენს მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი, გარდა პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
- ▶ წერის დაწყებამდე, სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ, ნებისმიერი სხვა დარღვევის (განმეორებით შენიშვნის მიღების, საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის, მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო ადმოჩენის ან სარგებლობის) შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.
- ▶ გამოცდის დაწყებამდე შეამოწმეთ საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა და დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
- ▶ საგამოცდო ნაწერი შეასრულეთ დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო

- ფურცლებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
- ▶ სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და პედაგოგის სახელი და გვარი დაწერეთ საგამოცდო ფურცელზე, მხოლოდ მისათვის განკუთვნილ ადგილას.
 - ▶ საგამოცდო ნაშრომი შეასრულეთ ლურჯი ფერის პასტით.
 - ▶ დაუშვებელია საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, გვარი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში თქვენი ნაწერი არ გასწორდება.
 - ▶ დამკვირვებლის მიერ დარიგებული საგამოცდო ბილეთი არ გადაშალოთ მანამ, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.
 - ▶ გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიიდან გასვლა შეგიძლიათ აუცილებლობის შემთხვევაში, გამოცდისათვის გათვალისწინებული დროის ნახევრის ამოწურვის შემდეგ, მხოლოდ 3 წუთის ხანგრძლივობით. აუდიტორიის დატოვების უფლება ყოველ მომდევნო სტუდენტს ექნება გასული სტუდენტის დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული დროის დარღვევის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.
 - ▶ თუ დროზე ადრე დაიწყებთ საგამოცდო ბილეთზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში - მოიხსნებით გამოცდიდან.
 - ▶ პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული.
 - ▶ აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, გადალაპარაკება, ხმაური, ასეთ შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.
 - ▶ აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან.
 - ▶ გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება, გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა/არაეთიკური ქცევა.
 - ▶ საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი შეგატყობინებთ ამის შესახებ. თუ საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტთ მუშაობას, თქვენი ნაშრომი არ გასწორდება;
 - ▶ სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები გადაეცით დამკვირვებელს და მოაწერეთ ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.

10.5. დისტანციურ გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესები

- ▶ საგამოცდო ვირტუალურ სივრცეში გამოცხადდით გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე და გაიარეთ რეგისტრაცია;

- ▶ არ დატოვოთ ვირტუალური საგამოცდო სივრცე გამოცდის დაწყებიდან დასრულებამდე;
- ▶ გამოცდის მიმდინარეობისას, უწყვეტ რეჟიმში ჩართული გქონდეს კამერა და მიკროფონი ისე, რომ შესაძლებელი იყოს პედაგოგის/დამკვირვებლის მიერ ვირტუალურ სივრცეში თქვენი კონტროლი;
- ▶ გამოცდის მიმდინარეობისას ტექნიკური შეფერხების/გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობეთ დამკვირვებელს;
- ▶ პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული;
- ▶ ნაშრომი დაასრულეთ საგამოცდო დროის ამოწურვამდე და შემდეგ დატოვეთ ვირტუალური საგამოცდო სივრცე;
- ▶ იმ შემთხვევაში, თუ საგამოცდო ტესტები/დავალებები Microsoft teams-ში განთავსებულია Microsoft office 365 პროგრამის საშუალებით, ნაშრომი გაუგზავნეთ პედაგოგს/დამკვირვებელს Microsoft teams-ში გამოცდის დასრულებისთანავე და ვირტუალური სივრცე დატოვებების მიღების შემდეგ;
- ▶ კარნახის, ხმაურის, არაეთიკური ქცევის, გადაწერის მცდელობის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;
- ▶ ნაშრომში პლაგიატის, გადაწერის აღმოჩენის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან და/ან თქვენ ნაშრომი არ გასწორდება;
- ▶ ელექტროენერჯის, ინტერნეტის ხანგრძლივი წყვეტის ან სხვა ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის შესახებ მოთხოვნით, (ელექტრონული EEU-EL - ის მეშვეობით) მიმართეთ საგამოცდო ცენტრს. შესაბამისი სამსახური განიხილავს თქვენს განაცხადებს და გაცნობებთ მიღებულ გადაწყვეტილებას;
- ▶ გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობების (ინტერნეტი, აუდიო და ვიდეო გამოსახულება) გაუმართაობის შემთხვევაში, შეგიძლიათ, გამოცდა ჩააბაროთ უნივერსიტეტის სივრციდან, დისტანციური ფორმით (Microsoft teams პლატფორმის საშუალებით);



გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე კითხვების არსებობის შემთხვევაში/დამატებითი ინფორმაციისათვის სტუდენტმა უნდა მიმართოს საგამოცდო ცენტრის სპეციალისტს
ოთახი: 20, ტელეფონი: 032 2 48 01 (105)



<https://eeu.edu.ge/portfolio/aboutexamcentre/>

11. სტუდენტური ცხოვრება და სერვისები



11.1. სტუდენტური თვითმმართველობა

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო-სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც შედგება, ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით არჩეული 12 დელეგატისაგან.

სტუდენტური თვითმმართველობა კომპეტენციის ფარგლებში:

- ▶ იცავს სტუდენტთა უფლებებსა და ინტერესებს;
- ▶ შეიმუშავებს მოსაზრებებსა და წინადადებებს სასწავლო პროცესთან, სწავლის ხარისხთან, მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ▶ გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;
- ▶ თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან;
- ▶ კავშირი აქვს საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;



უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს სტუდენტურ თვითმმართველობას ფეისბუქის გვერდზე (<https://www.facebook.com/eeustudentsselfgovernment>) ან დაწეროს განცხადება კანცელარიაში და წარუდგინოს: მოსაზრება, წინადადება, პროექტი

11.2. სტუდენტთა ინტეგრირების ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სივრცეში

EEU-ს პირველკურსელებისთვის ახალ საგანმანათლებლო სივრცეში ორიენტირებისა და ინტეგრირების მიზნით, განათლების დეპარტამენტი ერთი სარკმლის პრინციპით ყველა სტუდენტს უწევს კონსულტაციას უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

გარდა ამისა, განსაზღვრულია საკონსულტაციო განრიგი და სტუდენტს შეუძლია ამ განრიგის მიხედვით მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია როგორც აკადემიურ, ისე პროგრამის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან. საკონსულტაციო საათების განრიგი გამოქვეყნებულია







უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://eeu.edu.ge/საკონსულტაციო-განრიგი/>



11.3. პროექტები, საჯარო ლექციები/შეხვედრები, სემინარები, ღონისძიებები



უნივერსიტეტში სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახის შიდა და გარე ღონისძიება/სტუდენტური აქტივობა:

-  სოციალური;
-  საქველმოქმედო;
-  სპორტული;
-  კულტურული;
-  ინტელექტუალური;
-  შემეცნებითი;

ღონისძიებებზე დასწრება არის თავისუფალი.

ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <http://eeu.edu.ge>; facebook გვერდზე: EEUUniversity ასევე სტუდენტებს ეგზავნებათ შეტყობინებები სასწავლო ბაზაში მითითებული ტელეფონის ნომერზე

11.3.1. პროექტების ინიცირება და დაფინანსება

EEU-ს ნებისმიერ სტუდენტს/ჯგუფს აქვს უფლება დასაფინანსებლად წარადგინოს პროექტი.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია [„სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი“](#) (გამოქვეყნებულია ვებგვერდზე , რომლის მიზანია [აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა თუ კურსდამთავრებულებს შეუქმნას სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობები და მოტივაცია, მოხდეს ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და ამაღლდეს განათლების ხარისხი, გამოვლინდნენ წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტები. დაფინანსების წესში არის ინფორმაცია პროექტის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, პროცედურების შესახებ](#)

პროექტის წარდგენა/დაფინანსების ეტაპები:

- 1) განცხადების დაწერა (განცხადებას დანართის სახით უნდა ერთოდეს - ა) სამეცნიერო/კულტურული/სპორტული პროექტი, ბ) ცნობა სტუდენტ(ებ)ის სტატუსის შესახებ, დ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 2) განაცხადის განხილვა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ და პროექტის ავტორ(ებ)ის ინფორმირება ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);
- 3) პროექტის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ პროექტის ავტორ(ებ)ს გეცნობებათ კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 4) რექტორის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომისიის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

5) პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში პროექტის ავტორ(ებ)მა კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინონ პროგრამული და ფინანსური ანგარიში;

11.4. სპორტი



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სპორტის მოყვარულ სტუდენტებს საშუალება აქვთ გაერთიანდნენ საუნივერსიტეტო სპორტულ გუნდებში და მიაღწიონ წარმატებას მათთვის სასურველ სპორტულ სახეობაში:

- ✓ ფეხბურთი
- ✓ კალათბურთი
- ✓ ფრენბურთი
- ✓ ჭადრაკი
- ✓ ფუტსალი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან, რომლის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ.

11.5. კარიერული განვითარების სერვისები: დასაქმება, სტაჟირება, ვაკანსიები, ტრენინგ-კურსები

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით EEU-ს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება სთავაზობს სხვადასხვა სერვისს:

- EEU ჩართულია სტუდენტური სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში და დღემდე აქტიურად თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას საჯარო სამსახურში.
- EEU-ს ბაკალავრის ხარისხის მქონე და მაგისტრანტ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ სერტიფიცირების კურსი და სტაჟირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში „საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა და სტაჟირება“-ის ფარგლებში.
- სტუდენტებს ასევე შეუძლიათ, გაიარონ სტაჟირება ან/და დასაქმდნენ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში (პარტნიორ ორგანიზაციებში სტაჟირების გავლის შემდეგ დასაქმდნენ სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოში, პროკურატურაში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, „ჯინო ფერედაისში“, nice room-ში და ა.შ. *პარტნიორი ორგანიზაციები* იხ. ბმულზე: <https://bit.ly/2NM2btr>). EEU-ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ასევე ითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტების სტაჟირებაზე მიღებას, დასაქმების შესახებ ინფორმაციების მოწოდებას, არამედ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების ერთობლივად ჩატარებასაც;
- შიდასაუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამა ითვალისწინებს ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში სტუდენტების სტაჟირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან ანაზღაურებად ან არაანაზღაურებად სტაჟირებას EEU-ს სხვადასხვა სამსახურში და სტაჟირების დასრულების შემდეგ ხშირად ამავე სამსახურში საქმდებიან პროფილის შესაბამისად.
- სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ სტაჟირება EEU-ს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში. მაგალითად, SWISS UMEF ჟენევის უნივერსიტეტსა და EEU-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ SWISS UMEF უნივერსიტეტსა და მის პარტნიორ ორგანიზაციებში სტაჟირების, პრაქტიკის გავლა და კვლევის განხორციელება (საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები და უნივერსიტეტები იხ. ბმულზე: <https://bit.ly/3qHdiTd>)
- EEU არის აშშ-ს მსოფლიო განათლების მომსახურების (WES–WORLD EDUCATION SERVICES) ორგანიზაციის წევრი და ნებისმიერი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტსა თუ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა, მოიპოვოს მობილობის უფლება, მიიღოს შეფასება/რეკომენდაცია, განათლების კვალიფიკაციის აღიარება აშშ-სა და კანადის ქვეყნების სხვადასხვა დაწესებულებაში დასაქმების უფლების მიღების მიზნით და ა.შ
- ეწყობა დასაქმების ფორუმები, თემატური კონფერენციები (მაგალითად, "დასაქმების სააგენტო ეიჩარი"-ის დასაქმების ფორუმი, ონლაინ დასაქმების ფორუმი, განათლების საერთაშორისო გამოფენა, ტრენინგები დასაქმების ხელოვნებაზე და სხვა)

არაფორმალური განათლების სერვისები. სტუდენტთა პროფესიული ზრდის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, EEU-ს უწყვეტი განათლების ცენტრი პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით უწყვეტი განათლების კურსების/ტრენინგების/პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებაზე, შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებაზე და ა.შ.

11.6. დაფინანსება

11.6.1. საუნივერსიტეტო დაფინანსება

- ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს საშუალება აქვთ მოპოვონ ყოველსემესტრული საუნივერსიტეტო სტიპენდია 600 ლარის ოდენობით;
- ▶ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში განსაკუთრებული გამოჩენილი აქტივობისთვის EEU-ს რექტორის ბრძანებით სტუდენტებს საშუალება აქვთ მოიპოვონ ერთჯერადი სტიპენდია/სასწავლო ვაუჩერი;
- ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თითოეულ დევნილ სტუდენტს გადაეცემა 400-ლარიანი სასწავლო ვაუჩერი;
- ▶ წარჩინებულ დევნილ სტუდენტებს ენიშნებათ სპეციალური სტიპენდია და საშუალება აქვთ, საუნივერსიტეტო დაფინანსებით მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში;
- ▶ სოციალურად დაუცველ, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ და ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, დეპორტირებული მესხები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებზე გაიცემა სასწავლო ვაუჩერი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.
- ▶ სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმების, ვადებისა და ეტაპების შესახებ დეტალური ინფორმაციას სტუდენტი გაეცნობა უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე.

11.6.1. დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობა (სასწავლო გრანტის გაუმჯობესება, მერიის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს გრანტები)

სტუდენტებს ემლევათ შესაძლებლობა გაიმჯობესონ სახელმწიფო სასწავლო/სოციალური გრანტი

თუ სტუდენტი არ სარგებლობთ სახელმწიფო სასწავლო გრანტით, ან მოპოვებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება (70%, 50%, 30%), შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია გრანტის გაუმჯობესების გამოცდაზე, რომელსაც ატარებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (naec.ge); თუ სტუდენტი გამოცდაზე ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, მას შეუწარმობა არსებული გრანტი (ასეთის ქონის შემთხვევაში);

განათლებისა და მეცნიერები სამინისტრო ყოველწლიურად აფინანსებს სტუდენტების სწავლას სოციალური პროგრამის ფარგლებში; დაფინანსების მისაღებად, სტუდენტმა განცხადება მოთხოვნილ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში



დეტალური ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 032 2 200 220 ან ეწვიეთ მათ ვებგვერდს: <https://mes.gov.ge/>

ასევე, სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს სწავლის დაფინანსება მერიის მიერ. დეტალური ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქ. თბილისის მერიას 032 2 72 22 22.

11.7. სტუდენტური დაზღვევა

- ▶ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სამედიცინო დაზღვევას „მედისონის“ კლინიკებში.
- ▶ დეტალურ ინფორმაციას უფასო სამედიცინო სერვისების შესახებ სტუდენტი გაეცნობა უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- ▶ სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მათვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტს პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და შეავსოს თანხმობის ფორმა;



განათლების დეპარტამენტი, ოთახი 19, ტელეფონი: 032 2 48 01 41



<https://www.facebook.com/profile.php?id=100011153139550>

11.8. სტუდენტური კონფერენციები

უნივერსიტეტის სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში; უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ ერთი საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია და ყოველსემესტრული საფაკულტეტო კონფერენცია;

უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამი თვით ადრე ქვეყნდება ინფორმაცია კონფერენციის ჩატარებისა და შინაარსის შესახებ:

- ▶ კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი;
- ▶ აპლიკაციის ფორმა და შევსების ვადა;
- ▶ წარმოსადგენი ნაშრომის მოცულობა და ფორმატი;
- ▶ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;

სტუდენტმა ნაშრომი უნდა წარმოადგინოს APA – ს (ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია) აკადემიური ტექსტების წერისა და ფორმატირების სტილის მიხედვით;

სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს შეარჩევს შესაბამისი კომისია;

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები/მოხსენებები დაიბეჭდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულში/კონფერენციის მასალებში/გამოიცემა კრებულად;



შეფასებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მიმართოთ შესაბამის ფაკულტეტს:

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ოთახი 18



ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი, ოთახი 20

11.9. გაცვლითი პროგრამები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სტიპენდიითა და ექსკლუზიური პირობებით მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საზაფხულო და ზამთრის სკოლებში დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. უნივერსიტეტი არის ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის წევრი (EPLO), რომელიც მოიცავს პარტნიორობას ევროპის 70-ზე მეტ უნივერსიტეტთან, როგორცაა:



Université de Paris I - Panthéon-sorbonne (France), Universidad de Castilla-La Mancha (Spain), Queen's University of Belfast (United Kingdom), Erasmus University Rotterdam (The Netherlands), Technische Universität Dresden (Germany), Università di Roma "La Sapienza" (Italy) და ა.შ. ასევე, საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციების ჩამონათვალი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე მთავარ მენიუში „საერთაშორისო ურთიერთობები“.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უნივერსიტეტის ვებგვერდზე და EEU-EL-ის საინფორმაციო დაფაზე მუდმივად აქვეყნებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო/ზამთრის სკოლების შესახებ, რომლებსაც EEU-ს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები თუ ორგანიზაციები სთავაზობენ უნივერსიტეტის სტუდენტებს

დაინტერესებული სტუდენტები დადგენილ ვადებში უნდა დარეგისტრირდნენ და გამოაგზავნონ შესაბამისი განაცხადი საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურში.

გაცვლით პროგრამაში, საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობის უფლება აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე

პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის შეთავაზებულია საუკეთესო პირობებით და თითოეულ მათგანს დამატებით შანსს აძლევს გაიღრმავოს ცოდნა და მიიღოს გამოცდილება მისთვის საინტერესო მიმართულებით.



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ERASMUS + პროგრამაში 2015 წლიდან არის ჩართული.

Erasmus+ არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანია განათლების მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ასევე, ტრენინგები და ახალგაზრდებთან მუშაობა.

Erasmus+ პროგრამის საერთაშორისო კრედიტ მობილობა (International Credit Mobility – ICM) – მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამაა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პროგრამა ხორციელდება საქართველოს და ევროპის (პროგრამის ქვეყნების) უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში.

Erasmus+ პროგრამის საერთაშორისო კრედიტ მობილობა მოიცავს:

- ▶ სტუდენტების მობილობას 3-დან 12 თვემდე, სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა);
- ▶ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას: 5 დღიდან 2 თვემდე.

მობილობის ფარგლებში სრულად ანაზღაურებადია სწავლისა და მგზავრობის (საქართველო – პროგრამის ქვეყანა – საქართველო) ხარჯები. სტუდენტებს ასევე გადაეცემათ ყოველთვიური სტიპენდია 800-900 ევრომდე (ევროპული (პროგრამის) ქვეყნის სიძვირის მიხედვით). ხოლო საქართველოში ჩამომსვლელი სტუდენტებისთვის სტიპენდია შეადგენს 700 ევროს თვეში.

დღესდღეობით უნივერსიტეტი Erasmus + პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ▶ ზემო ავსტრიის განათლების უნივერსიტეტი (ავსტრია, ლინცი) - მიმართულება – განათლება
- ▶ ბუქარესტის ეკონომიკური უნივერსიტეტი (რუმინეთი) მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება



გაცვლით პროგრამებთან, ზამთრის და ზაფხულის სკოლებთან, ERASMUS+ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე კითხვების არსებობის შემთხვევაში ან დამატებითი ინფორმაციისათვის სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მენეჯერს ან გაგზავნოს შეკითხვა შემდეგ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე: international@eeu.edu.ge

11.10. სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი

EEU სტუდენტებს უფასო ფსიქოლოგიურ მომსახურებას/კონსულტაციას სთავაზობს. მომსახურება განუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვთ შფოთვა, დაქვეითებული გუნებ-განწყობა, უჭირთ სხვადასხვა სახის სტრესთან გამკლავება (მაგალითად, სირთულეები სოციალურ სიტუაციებში, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში), შიშები და სხვა. კონსულტაცია ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ შეხვედრებს და ამ მიმართულებით სტუდენტებს მომსახურებას უწევს EEU-ს ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერებების კვლევითი ცენტრის “ლაბორატორია Z”- ის სპეციალისტები.



<https://eeu.edu.ge/portfolio/laboratoriaincontact/>

11.11. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მიმართული სერვისები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ან გაცვლით პროგრამაში მონაწილე, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას. ისგ-ს შემუშავების წესი საჯაროა და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: <http://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/>

11.12. COVID 19

COVID 19 პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მიმართული სერვისები: EEU-ში დისტანციური სწავლება ხორციელდება Microsoft Teams-ის გაძლიერებული პლატფორმისა და განახლებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის (EEU-EL) გამოყენებით. უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია, ფლობს Microsoft Global Training და Microsoft Gold Partner სტატუსებს და დისტანციური სწავლების პროგრამას Office 365 A1 ლიცენზირების ფარგლებში ახორციელებს. უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტებისა და პერსონალისთვის შეიმუშავებს შესაბამის ინსტრუქციებს (სახელმძღვანელოები, ვიდეო-გზამკვლევები), ატარებს ტრენინგებს და კონსულტაციებს, ზრუნავს ელექტრონული სწავლების რესურსების დანერგვა/გაუმჯობესებაზე და ელექტრონული სწავლების მხარდაჭერი სერვისების განვითარებაზე.

[ინსტრუქციები იხ. ბმულზე:](#)

11.12. სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი

სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც 2020 წლიდან შეიქმნა. ოფისის საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტთა ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და ასევე, დარღვეული უფლებების აღდგენას საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად; ომბუდსმენის ოფისი სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ატარებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობებს/ღონისძიებებს (ტრენინგები, საჯარო ლექციები და ა.შ.);

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს დამოუკიდებლობა, კონფიდენციალობა, ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა, კოლეგიალობა და მუშაობს საერთაშორისო ომბუდსმენის ასოციაციის (IOA) პრაქტიკის სტანდარტებით;

სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის ხელმძღვანელობს ომბუდსმენი, რომელიც:

- უნივერსიტეტის ფარგლებში ზედამხედველობს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის, ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის ასრულებს მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას და ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას;
- ავლენს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას;
- ეწევა საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას (ტრენინგები, პრეზენტაციები, დისკუსიები და ა.შ.) სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების მიმართულებით;
- ამოწმებს სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას და რეაგირებს მათი დარღვევის ფაქტებზე როგორც მიღებული განაცხადების/საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით;
- უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე განიხილავს სტუდენტთა განაცხადებებსა და საჩივრებს ისეთი ქმედების თაობაზე, რომელიც არღვევს სტუდენტის უფლებებს;
- უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევას, კონკრეტული სიტუაციიდან

გამომდინარე, აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებულ შესაბამის პროცედურებსა და რეგულაციებზე;

- სტუდენტებს აცნობს მათს უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, განუმარტავს აპელაციის პროცედურებს, აძლევს ლეგალურ რჩევებს;
- შუამდგომლობს სტუდენტს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისგან ინფორმაციის მიღებასა და დეტალების გარკვევაში;
- ზრუნავს სტუდენტებისთვის კონფიდენციალური და კოლეგიალური გარემოს შექმნაზე;

მნიშვნელოვანია, რომ ომბუდსმენი გაწეული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ [ვებგვერდზე](#) ომბუდსმენის ოფისს აქვს უნივერსიტეტის ვებ საიტზე საკუთარი გვერდი (<https://eeu.edu.ge/portfolio/studenturi-ombudsmeni/>), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ანონიმური განცხადების დაწერა, სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის შეფასების მიზნით კითხვარის შევსება; ასევე, განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ, სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების შესახებ სასარგებლო ბმულები და რესურსები (რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, გზამკვლევები და ა.შ.), ხშირად დასმული კითხვები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.

უნივერსიტეტისა და სტუდენტებისთვის ომბუდსმენის ოფისი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის არის ღირებული არაფორმალური სტუდენტური რესურსი/სერვისი და ავსებს ფორმალურ პროცესებს. ომბუდსმენის ოფისი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ეხმარება პრობლემური და გასაუმჯობესებელი საკითხების/პროცესების უკეთ დანახვაში. ომბუდსმენის ოფისი ასევე აკვირდება სტუდენტთა პრობლემების ტენდენციებს და შეუძლია, რექტორს შესთავაზოს რჩევები/რეკომენდაციები და დროული ანალიზი პრობლემების ტენდენციებთან დაკავშირებით.

ომბუდსმენს შეუძლია, ხელი შეუწყოს კონფლიქტების დროულ იდენტიფიცირებასა და მის გადაჭრას, სანამ ის გამწვავდება. ომბუდსმენი ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში და ასრულებს მედიატორის (შუამავლის) როლს.



საკონტაქტო ინფორმაცია: ომბუდსმენი: ზურაბ ბეჟაშვილი
student.ombudsman@eeu.edu.ge
<https://eeu.edu.ge/portfolio/25173/>

12. ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (EEU-LIB) საერთო ფართი - **260 კვ.მ.** საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზებს, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალისთვის სამუშაო სივრცეებს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებს; კერძოდ, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას აქვს **ორი სამკითხველო დარბაზი, 100 ადგილით:**

- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) - კორპუსი 1, შატილის ქ. №4
- სამკითხველო დარბაზი (70 ადგილი, გახსნა დაგეგმილია 2021 წლის მაისში) - კორპუსი 2, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, ენუქიძის ქ. 6

ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია:

- გაიტანოს ან წინასწარ დაჯავშნოს მისთვის სასურველი წიგნი;
- მიიღოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და კონსულტაცია ბიბლიოთეკარისგან;
- გამოიყენოს საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ის ბაზები, რომლებზეც აქვს წვდომა უნივერსიტეტს;
- ისარგებლოს სამკითხველო დარბაზითა, ჯგუფური მუშაობის სივრცითა და კომპიუტერული რესურსცენტრით.
- გადაიღოს ბიბლიოთეკაში არსებული მასალების ქსეროასლები

ელექტრონული კატალოგის გამოყენების ინსტრუქცია:

გადადით ბმულზე: <http://eeu.edu.ge/lib/opac/>. და მოძებნეთ თქვენთვის საინტერესო მასალა შესაბამისი ავტორის/სათაურის/თემატიკის/შიფრის/სადიებო ფრაზის მითითებით.

ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი:

EEU ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა: 10:00 საათიდან 21:00

სასარგებლო ბმულები:

- საერთაშორისო მონაცემთა ბაზები: <https://goo.gl/DijhyL>
- ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია: <http://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2017/02/bibliotekitsaregblobisinstrucia.pdf>
- [დისტანციური წვდომის](#) ინსტრუქცია




საკონტაქტო ინფორმაცია: ბიბლიოთეკარი: თამარ თავართქილაძე
T.tavartkiladze@eeu.edu.ge, EEU.Lib@eeu.edu.ge, (032) 2 48 01 41

13. EEU-CAFE

EEU-ს აქვს კაფეტერია, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ გემრიელი და ჯანსაღი კერძები.

მდებარეობა: შატილის ქ. #4, 1-ლი სართული

სამუშაო განრიგი: ორშაბათი-შაბათი, 10:00 საათიდან - 19:00 საათამდე.



დანართი 1 - ტერმინების განმარტება:

ავტორიზაცია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

აკრედიტაცია – აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;

აკადემიური ხარისხი – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ადმინისტრაციული რეგისტრაცია - სტუდენტის მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა;

აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო კურსებზე (საგნებზე) სემესტრული რეგისტრაცია

აკადემიური თავისუფლება - აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;

ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია მიღებული კვალიფიკაციით მუშაობის, მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის და მთავრდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;

დიპლომი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

დიპლომის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სტუდენტის მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული განათლების შინაარსის და საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის

კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

მაგისტრატურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისათვის და მთავრდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მობილობა – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს ან აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს;

შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.



მიიღე ცოდნა, რომელსაც რეალურად გამოიყენებ!

